განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.საჯარო სამართლის იურიდიული პირი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 05.11.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21.12.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

1 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	• პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი • საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-7
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერება და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული #87, 9/30/2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ფიქრია ასანიშვილი - სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი მანველიძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერიტეტი,საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე- სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული არგუმეტები და გაცემული რეკომენდაციები დარჩა უცვლელი.

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა - პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)
აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2011 წლიდან. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პროგრამა მოდიფიცირდა და მასში შემავალი მიმართულებები ჩამოყალიბდა 2 დამოუკიდებელ სამაგისტრო პროგრამად: პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები).

საგანმანათელბლო სამაგისტრო პროგრამის პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთერთობები დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. აქედან 90 კრედიტი ეთმობა პროგრამაში შემავალ სავალდებულო და სავალდებულო-არჩევით კურსებს,ხოლო 30 კრედიტი- სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტს.

საამგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ანალიტიკური უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი პოლიტიკის მეცნიერების/საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რომელიც შეძლებს არჩეული სპეციალიზაციის სფეროში არსებული აქტუალური საკითხების დამოუკიდებლად შესწავლას, შესაბამისი თეორიების, თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და იქნება კონკურენტუნარიანი, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ასევე სწავლების შემდგომ საფეხურზე.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი.

მაგისტრატურაში მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერისტეტო ზეპირი გამოცდის (გასაუბრება, ფარგლებში მოწმდება სტუდენტის დარგობრივი ცოდნა, და მოტივაცია; კანდიდატების ინგლისური ენის კომპეტენცია (მინუმუმ B2-1 დონე) მოწმდება შესაბამისი ტესტის საფუძველზე .

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრეტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ზუმ-შეხვედრა. შეხვედრის მიმდინარეობისას მოხდა პროგრამის დოკუმენტებზე დეტალური მსჯელობა და სტანდარტების გადანაწილება; შედგა ინტერვიუებისათვის სავარაუდო კითხვების მონახაზი.

ზუმ-ვიზიტი დაიწყო 10:0 საათზე (05.11.2021) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველ შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. რომელიც წარმოდგენილი იყო უსდ-ს ვიცე რექტორებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსით და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანით.საუბარი შეეხო სამაგისტრო პროგრამის "პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები" მნიშვნელობას, როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. ვიცრე რექტორებმა აღნიშნეს, რომ ამ პროგრამაში ჩართულნი არიან საქართველოში კარგად ცნობილი დარგის სეციალსიტები და მაღალკვალიფიცური პროფესიონალები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მოთხოვნადობასა და მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად თაანამშრომლობს უცხოურ უნივერსიტეტებთან, მონაწილეობს გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში, რაც ზრდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ჩართულობის ხარისხს.

მეორე ვიზიტი შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან. საუბარი შეეხო პროგრამის სტრუქტურას, კურსების დაბალანსების, კონკრეტულად კი, საგნებისათვის სავალდებულო და არჩევითი, არჩევითი სავალდებულო სტატუსის მინიჭების პრინციპს; კვლევის მეთოდოლოგიის კურსებს, ლექტორთა ტრენინგებში მონაწილეობას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა კვლევითი პროცესის გაძლიერების ინსტრუმენტებს; სტუდენტთა წახალისებისა და სხვა მექანიზმებს. პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა,რომ პროგრამა მუდმივად ვითარდება და პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა სამაგისტრო საფეხურზე პოლიტიკის მეცნიერების/საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა (University of Groningen, Netherlands-MA in International Relations; University of Nevada- Master of Arts -Political Science; California State University-Department of Political Science; ASU- international affairs master's degree).

მესამე შეხვედრის დროს აკრედიტაციის ჯგუფი გაესაუბრა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს: პროგრამის ხელმძღვანელს, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეებს, მეცნიერებათა ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტს კვლევების მიმართულებით. მეოთხე შეხვედრა კვლვ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გაგრძელდა. ინტერვიუების დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეეხნენ ჯგუფის მუშაობის ფორმატს, კონკრეტული წევრებისათვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს პროგრამის თვითშეფასების პროცესზე მუშაობისას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეხვედრისას აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო აკადემიური პერსონალის შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტებს მათი ქმედითუნარიანობის შესაფასებლად. დაისვა კითხვები, თუ როდის და როგორ ხდება სტუდენტთა ინფორმირება სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება შედგა მეხუთე და მეექვსე შეხვედრისას. შესვენების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

უსდ ინფრასტრუქტურულად გამართულია და მორგებულია სტუდენტების მოთხოვნებზე; ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტი იყოს მოტივირებული და მისი სწავლის შედეგი იყოს მაღალი ხარისხის. ბიბლიოთეკის დათვალიერებისას, ბიბლიოთეკის დირექტორის მრჩეველმა და ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების უფორსმა გვაჩვენეს კონკრეტულად პროგრამისთვის შეძენილი წიგნები; მათი უმრავლესობა გაციფრებულია. სტუდენტს ბიბლიოთეკაშიც და დისტანციურადაც უსდ-ს ელ-პლატფორმის გამოყენებით მარტივად შეუძლია სასურველი წიგნის მოძიება. ბიბლიოთეკა ფლობს აკადემიურ ელექტრონულ ბაზებს. შემდეგ შეხვედრა მოხდა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. დღის ბოლო შეხვედრა შედგა პოტენციურ დამსაქმებლებთან.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტზე, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს ისინი უსდ-ს წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ვიზიტის, დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- **შესაბამისობაშია**: **2. 2.1, 2.3, 2.4, 2.5; 2.6; 3. 3.1, 4, 4.1, 4.2, 4.3, 4.4; 5. 5.1. 5.2.**
- **მეტწილად შესაბამისობაშია:** 1. 1.**1, 1.2. 5. 5.3**

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია: მისანიჭებელი კვალიფიკაციების (პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი (Master of Political Science) და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (Master of International Relations) სპეციფიკის შესაბამისად შინაარსობრივი განსხვავებები გამოკვეთილ და ასახულ იქნას პროგრამის მიზნებში.

რეკომენდირებულია: მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისად დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს სწავლის შედეგები, მოხდეს მათში დარგობრივი სპეციფიკის, ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის (არსებობის შემთხვევაში) ასახვა

რეკომენდირებულია : დაწესებულებამ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი გამოიყენოს პროგრამის მონიტორინგის მექანიზმად, რადგან ის წარმოადგენს პროგრამის შეფასების მიმართულებით ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემს პროგრამის გუნდს უკეთ დაინახონ პროგრამის ცალკეულ კომპონენტში განსახორციელებლი ცვლილებები და გასაუმჯობესებელი მხარეები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- საგანმანათლებლო პროგრამაში სტაჟირება/პრაქტიკის კომპონენტის დამატება
- პროგრამაზე დაშვების წინაპიროებებს დაემატოს დათქმა (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტების) B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის პირობებში,სტუდენტის ინგლისურის გამოცდიდან გათავისუფლების შესახებ.
- სასურველია, წარმოდგენილი სასწავლო გეგმების მიხედვით გასწორდეს წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებში „სტატისტიკური მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში“ და „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში“. თოთოეული სასწავლო კურსი სილაბუსების მიხედვით ერთმანეთის წინაპირობას წარმოადგენს.
- სასურველია, გარე შემფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით უმჯობესია გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილ იქნას პროგრამის მიზნების, შედეგების, სასწავლო გეგმის, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობის სიღრმისეული და დეტალური შეფასება.
- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად ჩაერთოს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.
- სასურველია, ქართველი და უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები.
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გაცნობიერებული ჩართულობა არსებითად მნიშვნელოვანი უკუკავშირის მიღების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები სრულიად შეესაბამება ილიას სახელწლიფო უნივერსიტეტის მისიას და ასევე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიას,რომელიც გულისხმობს კვალიფიციური, ეთიკური და კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების მქონე პროფესიონალის ჩამოყალიბებას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზანი,რეალისტურია, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნას,უნარებს და კომპეტენციებს,რომელთა განვითარება არის გათვალსიწინებული პროგრამის ფარგლებში. სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ანალიტიკური უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი პოლიტიკის მეცნიერების/საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რომელიც შეძლებს არჩეული სპეციალიზაციის სფეროში არსებული აქტუალური საკითხების დამოუკიდებლად შესწავლას, შესაბამისი თეორიების, თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და იქნება კონკურენტუნარიანი, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ასევე სწავლების შემდგომ საფეხურზე. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე პროგრამის უკეთ მორგების მიზნით, ჩატარდა კვლევა პოტენციურ დამსაქმებლებთან, კვლევის თვისებრივი მეთოდის (კერძოდ, ფოკუს ჯგუფის) გამოყენებით, ხოლო პროგრამის კურსდამთავრებულებთან ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა პროგრამის შეფასების მიზნით. როგორც დამსაქმებლებისგან, ასევე კურსდამთავრებულებისგან მიღებული უკუკავშირი გამოყენებული იყო პროგრამის განახლების და მისი დახვეწის პროცესში. საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და დარგის განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო პოლიტიკის მეცნიერებების/საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საფეხურზე სწავლების საერთაშორისო პრაქტიკა. (University of Groningen, Netherlands-MA in International Relations; University of Nevada- Master of Arts - Political Science; California State University-Department of Political Science; ASU- international affairs master’s degree) პროგრამის დახვეწის და განვითარების მიზნით გამოყენებულ იქნა დარგის ექსპერტის, არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, დევიდ სიროკის რჩევები და ხედვები პროგრამის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზნები თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და მისი შემუშავების პროცესში გათვალისიწნებული იქნა შრომის ბაზრის ტენდენციები თუ დამსაქმებლების საჭიროებები, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში წარმოდგენილია 2 მოდული,

ორი კურიკულუმი და ამავდრომულად, პროგრამა გადის 2 განსხვავებულ კვალიფიკაციაზე (პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი (Master of Political Science) და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (Master of International Relations)), მიგვაჩნია, რომ პროგრამის მიზნებში უნდა აისახოს კვალიფიკაციების შესაბამისად შინაარსობრივი განსხვავებებიც. პოლიტიკის მეცნიერებასა და საერთაშორისო ურთერთობებს მართალია აქვთ გადაკვეთის წერტილები, მაგრამ მათ შორის არის არსებითი განსხვავებები, რომლებიც პროგრამაში საჭიროებს მიზნების დონეზე გამოკვეთას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ ფაკულტეტსი დეკანთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარსხის განვითარების სამსახურთან;
- პოტენციური დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში;
- კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია; http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგია;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.iliauni.edu.ge;
- საერთაშორისო ანალოგების ჩამონათვალი:

https://www.rug.nl/masters/international-relations-60-ec/

https://www.unlv.edu/degree/ma-political-science

https://cla.csulb.edu/departments/polisci/general-undergraduate-information/learningobjectives/

https://www.uantwerpen.be/en/study/programmes/all-programmes/master-politicalscience/programme-info/learning-outcomes/

https://asuonline.asu.edu/online-degree-programs/graduate/international-affairsmaster-

- degree/

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციების (პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი (Master of Political Science) და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (Master of International Relations)) სპეციფიკის შესაბამისად შინაარსობრივი განსხვავებები გამოკვეთილ და ასახულ იქნას პროგრამის მიზნებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
• პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; • შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმისა და პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამას აქვს 2 მოდული, რომელიც 2 სხვადასხვა კვალიფიკაციას ანიჭებს. თუმცა, პროგრამაში გვაქვს საერთო სწავლის შედეგები. „პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი სიღრმისეულად უნდა ფლობდეს სიტემურ ცოდნას პოლიტიკის მეცნიერების /საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი სკოლების, თეორიების, თანამედროვე კონცეფციების და მიდგომების შესახებ; უნდა ჰქონდეს პოლიტიკის მეცნიერებაში/საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე თანამედროვე დებატების ცოდნა დარგისთვის აქტუალურ ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ, თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით; შეეძლოს დამოუკიდებლად განსაზღვროს საკვლევი კითხვა და უპასუხოს მას რელევანტური კვლევითი მეთოდების გამოყენებით განხორციელებული კვლევის საფუძველზე; შეეძლოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კვლევის შედეგების, საკუთარი დასკვნების და დასაბუთებული არგუმენტების კომუნიკაცია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა. ჰქონდეს ავტონომიურად მოქმედების უნარი სწავლისა და კვლევის პროცესში და ავლენდეს საკუთარ მეცნიერულ ხედვასა და დამოკიდებულებას (scientific attitude)“ აღნიშნულია საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობაში. კომისიის წევრებმა მიიჩნიეს, რომ თუ ეს ორი მოდული ორ სხვადასხვა კვალიფიკაციას ანიჭებს, შესაბამისად სწავლების შედეგებიც უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ორი სხვადასხვა სპეციალობის წილადით გამოყოფა იდენტური სწავლების შედეგებით არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. რეკომენდებულია, მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისად დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს სწავლის შედეგები, მოხდეს მათში დარგობრივი

სპეციფიკის, ცოდნის, უანრებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის (არსებობის შემთხვევაში) ასახვა. ამით, უფრო ნათელი გახდება განსხვავება წარმოდგენილ ორ სპეციალობასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციებს შორის, რაც ერთი მხრივ, დააკმაყოფილებს პროგრამის აკრედიტაციისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას (სტანდარტი 1, კომპონენტი 1.2), ხოლო მეორე მხირვ, აპლიკანტს საშუალებას მისცემს უკეთ დაინახოს თითოეული სპეციალობის სპეციფიკა და გააკეთოს მეტად განცნობიერებული არჩევანი.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა ეტაპობრივად განხორციელდა და უზრუნველყოფდა დაინტერესებული მხარეების - პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას, პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირს და დამსაქმებლების შეფასებებს.
კურსდსმთავრებულთა კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა კმაყოფილება და სამუშაო გამოცდილება. გამოკითხული 15 სტუდენტიდან დიდი ნაწილი პროგრამის ძლიერ მხარედ ლექტორებს და მათ მაღალკვალიფიციურობას ასახელებს. რაც შეეხება გასაუმჯობესებელ და სუსტ მხარეებს, 7-მა სტუდენტმა სუსტ მხარეებად დაასახელა სტაჟირებისა და პრაქტიკის ნაკლებობა/არარსებობა. მათი თქმით, პროგრამაში უფრო მეტად გამახვილებულია ყურადღება თეორიულ ნაწილზე. ასევე სუსტ მხარედ რესპონდენტები ასახელებდნენ ლექტორების პასუხისმგებლობის ნაკლებობას, რაც ხშირ გაცდენებში გამოიხატებოდა, სწავლის ხარისხსა და მეთოდებს, კურსების ნაკლებ არჩევანს და ა.შ. (იხ. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, 2021, გვ. 223, ცხრილი N183).
ეს სუსტი მხარეები სტუდენტთა უკუკავშირის შედეგად გამოსწორდება, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტაჟირება პრაქტიკის კომპონენტი თუ ჩაიდება პროგრამაში, რადგან ეს ფაქტორი სტუდენეტბთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუშიც მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა.
თვითშეფასების დანართი დოკუმენეტებით წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. წარმოდგენილ რუკებთან დაკავშირებით გამოიკვეთა რიგი შეუსაბამობები, რაც უმჯობესია გასწორდეს. მაგალითად, კომპეტენციათა რუკაში, სადაც სწავლის შედეგების მიხედვით იდენტიფიცირებულია დარგობრივ კომპეტენციაზე გამსვლელი სასწავლო კურსები, მეტი სიცხადისთვის, კარგი იქნებოდა ამავდროულად მითითებულიყო თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს.
ასევე, პროგრამის კურიკულუმისა და სწავლის შედეგების შეფასების რუკის (დანართი სახელწოდებით „სამიზნე ნიშნულები“) შედარების შედეგად დგინდება, რომ სწავლის შედეგების შეფასებისთვის პროგრამას ორივე მოდულისთვის იდენტიფიცირებული აქვს 6-6 კრედიტიანი 2 სავალლდებულო-საერთო სასწავლო კურსი (ინსტიტუტები და პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია) და სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი). აღნიშნულ სასწავლო კურსებში დასკვნითი გამოცდა იდენტიფიცირებულია როგორც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთადერთი კომპონენტი, ხოლო შეფასების დროდ და სამიზნე ნიშნულად დადგენილია სწავლების მეორე სემესტრის დასასრული, მაგისტრანტთა 80% 51 ქულაზე მაღალი შეფასებით. ზეამოღნიშნულ სასწავლო კურსებში დასკვნითი გამოცდები მოიაზრებენ კვლევითი რეფერატსა და პროექტს, რომლებიც, როგორც სილაბუსების შესწავლის, ისე გასაუბრების შედეგად დადასტურდა, აერთიანებენ

სტუდენტის კვლევით და ანალიტიკურ, ინფორმაციისა თუ მოძიებული მონაცემების დამუშავების უნარ–ჩვევებს. მოცემულობიდან გამომდინარე, აღნიშნული სასწავლო კურსების დაძლევადობის უზრუნველსაყოფად სტუდენტებს გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სასწავლო კურსები (მაგ., „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში“, „სტატისტიკური მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში“, „აკადემიური წერა“). პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით ზეამოღნიშნული სასწავლო კურსები წინაპირობების გათვალისიწინებით შესაძლებელია არჩეულ იქნას სწავლების მე-3 სემესტრში. ამ შემთხვევაში სწავლის შედეგების შეფასებაც განხორციელდება არა მე-2, არამედ მესამე სემესტრის დასასრულს. ასევე, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დროც. სასურველია, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა გადახედოს ამ ეტაპისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების რუკას მასში არსებული უზუსტობებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა; • სწავლის შედეგების რუკა; • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები • სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხივს ანგარიშები • პოტენციურ დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ანგარიშები • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისად დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს სწავლის შედეგები, მოხდეს მათში დარგობრივი სპეციფიკის, ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის (არსებობის შემთხვევაში) ასახვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • საგანმანათლებლო პროგრამაში სტაჟირება/პრაქტიკის კომპონენტის დამატება • სასურველია, კომპეტენციათა რუკაში, სადაც სწავლის შედეგების მიხედვით იდენტიფიცირებულია დარგობრივ კომპეტენციაზე გამსვლელი სასწავლო კურსები, მეტი სიცხადისთვის, მიეთითოს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს.

• სასურველია, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა გადახედოს ამ ეტაპისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების რუკას მასში არსებული უზუსტობებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		V		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს სამაგისტრო პროგრამაზე „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები: ჩაბარების მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი.შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერისტეტო ზეპირი გამოცდის (გასაუბრება) ფარგლებში მოწმდება სტუდენტის დარგობრივი ცოდნა, და მოტივაცია; კანდიდატების ინგლისური ენის კომპეტენცია (მინუმუმ B2-1 დონე) მოწმდება შესაბამისი ტესტის საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი პროგრამის მიღების დოკუმენტში. პროგრამაზე მიღების ზემოთ აღნიშნული პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის წინაპირობის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ.გვერდი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საჯარო და ხელმისაწვდომია, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია პორგრამაზე დაშვების წინაპირობებში ჩაიწეროს ისიც რომ (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტების) B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის პირობებში, გათავისუფლდეს სტუდენტი ინგლისური ენის ტესტირებისგან. ეს დაზოგავს უნივერსიტეტის რესურსებსაც და იმ აპლიკანტების დროსაც, ვისაც ეს სერტიფიკატი უკვე აქვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება ფაკულტეტის დეკანთან
- გასაუბრება პრორექტორთან
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან
- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაზე მიღების დოკუმენტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი. https://iliauni.edu.ge/ge/
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის
- სტატუსის მარეგულირებელი წესი.
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი naec.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

მიღების პირობებს დაემატოს დათქმა (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტების) B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის პირობებში,სტუდენტის ინგლისურის გამოცდიდან გათავისუფლების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება Vშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს პროგრამის ხელმძღვანელმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხისუზრუნველყოფის სამსახურმა.ასევე გათვალისწინებულ იქნა პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვების ანგარიშები და უკუკავშირები და შესამამისი შესაბამისი ცვლილებების ასახვა მოხდა პროგრამაში. პროგრამა კოლეგიალური გარე შეფასებისთვის გადაეგზავნა არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, პოლიტიკის მეცნიერებისა და გლობალური კვლევების მიმართულებით დევიდ სიროკის; პროგრამის საბოლოო ვერსია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებასთან ერთად წარედგინა ჯერ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად, შემდგომ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად და საბოლოოდ აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწტყვეტილება მისი დამტკიცების შესახებ. საბაკალავრო საგანამნათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“ შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს და ითვალისიწნებს დაშვების წინაპირობას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზურნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი სასწავლო კომპონენტისგან. პროგრამა 120 კრედიტიანია,ხანგრძლივობა 4 სემესტრი. პირველი სამი სემესტრით გათვალისწინებული კურსების ფარგლებში სტუდენტები ეუფლებიან კვლევით უნარებს და იღრმავებენ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების/პოლიტიკის მეცნიერებების დარგობრივ საკთხებში. პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტები ახორციელებენ კვლევას და მუშაობენ სამაგისტრო ნაშრომზე ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მისი ზედამხედველობით. **სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:** **მიმართულება - პოლიტიკის მეცნიერება**

1. პროგრამის სავალდებულო კურსების მოდული 30 კრედიტი;
2. მინიმუმ 42 კრედიტი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დარგობრივი (სავალდებულო-არჩევითი) კურსების მოდულიდან.
3. თავისუფალი არჩევის წესით სტუდენმა უნდა დააგროვოს მაქსიმუმ 18 კრედიტი პროგრამიდან ან სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი სხვა პროგრამიდან;
4. დაიცვას 30 კრედიტის მოცულობის სამაგისტრო ნაშრომი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით.

მიმართულება - საერთაშორისო ურთიერთობები
1. პროგრამის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი;
2. მინიმუმ 42 კრედიტი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების დარგობრივი (სავალდებულო-არჩევითი) კურსებიდან.
3. თავისუფალი არჩევის წესით სტუდენტმა უნდა დააგროვოს მაქსიმუმ 18 კრედიტი, ამ პროგრამიდან, ან სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი სხვა პროგრამიდან;
4. დაიცვას 30 კრედიტის მოცულობის სამაგისტრო ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით

პროგრამის კურიკულუმებისა და სილაბუსების შედარების შემდგომ გამოიკვეთა გარკვეული ტიპის ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც სასურველია აღმოიფხვრას. კერძოდ, სასწავლო გეგმებში დაშვების წინაპირობები არ ემთხვევა სილაბუსებში გამოტანილ დაშვების წინაპირობებს. მაგ., გასასწორებელია წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებში „სტატისტიკური მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში“, „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში“. თოთოეული სასწავლო კურსი სილაბუსების მიხედვით ერთმანეთის წინაპირობას წარმოადგენს. სასურველია მსგვავსი უზუსტობები გასწორდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანთლებლო პროგრამის თვითშფასების ანგარიშის დოკუმენტი
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიშები
- დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ანგარიში
- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაში ჩართულ სამუშაო ჯგუფთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, წარმოდგენილი სასწავლო გეგმების მიხედვით გასწორდეს წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებში „სტატისტიკური მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში“ და „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში“. თოთოეული სასწავლო კურსი სილაბუსების მიხედვით ერთმანეთის წინაპირობას წარმოადგენს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: V☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურა გაწერილი არის შესაბამის სილაბუსში და ასახავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სახელწოდების, ავტორის, სასწავლო კურსის სტატუსის, მიზნების, კრედიტების რაოდენობის და საათების (ECTS) განაწილების, სწავლის შედეგების, სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების/სწავლის მეთოდების, შეფასების, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურისა შესახებ. სილაბუსის შედგენის პროცედურები აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ დაცულია სრულად. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა, რომელიც წარმოაჩენს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილ მასალებში ნათლად ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების, მათი მიზანშეწონილობის, შინაარსის განსაზღვრაში. წარმოდგენილი მასალებიდან, ირკვევა, რომ დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მარეგულირებელი აქტები ქმნიან სისტემას,

მექანიზმებს/ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის შინაარსის იმავე სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების უმაღლესი განათლების შესაბამის (ამ შემთხვევაში სამაგისტრო) საფეხურთან თანხვედრის, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის/მოცულობის იმავე სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, სილაბუსში მითითებული სავალდებულო და სხვა სასწავლო მასალების კურსის სწავლის შედეგებთან თანხვედრა/შესაბამისობა და დადარების უზრუნველყოფას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, შინაარსით შეესაბამება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას.

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Taylor &Francis, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, SAGE, Political Science Complete, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან (ნებისმიერი კომპიუტერიდან ელექტრონული ანგარიშის მეშვეობით).

კურსების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორიცაა კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია კურსის ლექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელისთვის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. ინტერვიუებით ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. პროფესორ/მასწავლებლების პერსონალური მონაცემები, მათი სამეცნიერო პუბლიკაციები და პრაქტიკული გამოცდილება გავძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლება ხორციელდება აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“ საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანთლებლო პროგრამის თვითშფასების ანგარიშის დოკუმენტი; • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია; • გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება v☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა: “პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები” გარდა დარგისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა, ორიენტირებულია კურსდამთავრებულისათვის კვლევითი უნარების გამომუშავებაზე. ამ მიზნით

პროგრამა, სავალდებულო კურსების ბლოკში ითვალისწინებს კვლევის დიზაინის და მონაცემების ანალიზთან დაკავშირებული კურსების გავლას. ამავე ბლოკში შეთავაზებული აკადემიური წერის კურსი კი ემსახურება სტუდენტების უნარების განვითარებას, რომელიც დაეხმრება მას სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში აკადემიური კეთილისინდისიერების პრიცნიპების დაცვით. ამ კურსების გარდა, პროგრამის სხვა კურსებიც ითვალისწინებს კვლევითი ხასიათის პროექტებს,რეფერატებს, ესეებს რომლებშიც სტუდენტები კონცენტრირებული არიან საკითხის ანალიზზე, შეფასებაზე და კომპლექსური ინფორმაციის სინთეზზე. პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სხვადასხვა სიმულაციები და ქეისები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები, • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან; • გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • საამგისტრო ნაშრომის კონცეფცია; • საგანმანათლებლო პროგრამსი კომპეტენციების რუკა;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: V☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სხვ. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება.

სწავლების მეთოდების შერჩევისას ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი, რაც მიიღწევა შესაბამისი აქტივობებით: დისკუსია/დებატები, ინდივიდუალური ჯგუფური მუშაობა,სიმულაციები, შემთხვევის შესწავლა, ანალიზი და სინთეზი და სხვა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას.

საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის აქტივობებისა და მეთოდების შედარების, სასწავლო პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ ძირითადად გამოყენებულია მეტწილად ვალიდური, პირველადი ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი მეთოდები. დაცულია სასწავლო კურსის თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი).

მტკიცებულება/ინდიკატორები:

- „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები;
- გასაუბრება სტუდენტებთან;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პეროსნალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით და ასევე, გათვალისწინებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონი და საქართველოს განათლებისა და ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

(A) ფრიადი შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უსდ-ს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, რომ გაასაჩივრონ კურსის ფარგლებში მიღებული შეფასებები ელექტრონული პლატფორმა “გონის” საშუალებით. ასევე, კურსის განმავლობაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ უკუკავშირი ლექტორების მხრიდან, თუ როგორ გააუმჯობესონ შედეგები.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი პროცედურების მიხედვით, იგი გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისია. პროგრამაში შემავალ ყველა კომპონენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა და შესაბამისი კრიტერიუმები,რითაც მიღწეულია

სტუდნტის ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების შესახებ. სასწავლო პროცესის ელქტრონული მართვის სისტემა „არგუსით“ სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტს შესაზლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს თუ კონცეფციას და კურსსი დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონნეტები და კრიტერიუმები. სტუდენტების შეფასების სიტემა გამჭირალეა და კანონმდებლობასთან არის შესაბამისობაში. სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება: შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება. შუალედური და დსკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღავრი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღავრი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია და მისი ხვედრით იწილი არ აღემატება 30ქულას. სასწავლო პროცესსი მსვლელობაში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან თავიანთი მიღწევებისა და მათი გაუმჯობესების შესახებ.ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება ელექტრონული სისტემა „არგუსი“ და ასევე ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები. დადებით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტში არსებული „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი.“ რომელიც უზრუნველყფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თაანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი“ https://argus.ge/ge/; • ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი; • სისტემები https://elearning.iliauni.edu.ge და https://turnitin.com • გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან • გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთვრებულებთან • აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის დებულება (TSDC)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება: V☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტები, უწყვეტ რეჟიმში იღებენ ინფორმაციას, როგორც სწავლა სწავლების პროცესთან, ასევე დასაქმებასთან და სხვა დამატებით აქტივობებთან დაკავშირებით. საკონსულტაციო შეხვედრები სწავლა სწავლებასთან დაკავშირებით იმართება სემესტრის დაწყებამდე, ინფორმაცია საგნებთან, პროგრამასთან, კურსის შინაარსთან და სასწავლო მასალასთან დაკავშირებით იდება ონლაინ პლატფორმაზე არგუსი. ფაკულტეტს ჰყავს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორი, რომელიც აქტიურად

თანამშრომლობს სტუდენტებთან. სტუდენტებს შეუძლიათ პირადად მიმართონ მას კონსულტაციისთვის, თუმცა, ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ელ-ფოსტით, არგუსით ან ტელეფონით. კოორდინატორი სტუდენტებს კონსულტაციას უწევს სასწავლო პროცესის დაგეგმვის და მიმდინარეობის შესახებ და აძლევს შესაბამის რეკომენდაციებსა თუ რჩევებს; სტუდენტთა კონსულტაციას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი - კურიკულუმის ექსპერტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს და ხელს უწყობს თითოეულ მათგანს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში.

ვიზიტის დროს გვქონდა საშუალება გვენახა, უშუალოდ როგორ მუშაობს ონლაინ პლატფორმა, არგუსი უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მოქნილია სტუდენტებისათვის. ასევე, ვნახეთ ონლაინ ბიბლიოთეკა. როგორც სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, ხშირად იყენებენ ონლაინ ბიბლიოთეკას. პანდემიის დროსაც არ ქონიათ პრობლემა. მათ შეუძლიათ ონლაინ დაჯავშნონ წიგნი, ან ონლაინ გააგზავნონ მოთხოვნა, თუ წიგნის ელექტრონული ვერსია არ არის ონლაინ ბიბლიოთეკაში.

გარდა სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით, სტუდენტები პერმანენტულად იღებენ ინფორმაციას დასაქმებასთან, საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა თუ კონფერენციებთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სტუდენტი და კურსდამთავრებული რომელსაც ექსპერტები შევხდით მონაწილეობდნენ გაცვლით პროექტებში. ერთ-ერთი სტუდენტი ჩაგვერთო გლასგოდან, რომელიც ამჟამად სწავლობს გლასგოს უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპარტნიორო ხელშეკრულების ფარგლებში. ასევე ერთმა სტუდენტმა გაგვიზიარა გამოცდილება, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში სწავლისა. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტისა და სტუდენტების ჩართულობა ნამდვილად ძალიან მოცულობითია და მნიშვნელოვან როლს იკავებს სტუდენტების სასწავლო პროცესში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა: დეპარტამენტის ორგანიზებით, ხშირად იმართება დასაქმების ფორუმები, ერთ-ერთი სტუდენტი, რომელსაც ჩვენ შევხდით სწორედ უნივერსიტეტის ხელშეწყობით დასაქმდა.

უნივერსიტეტში არსებობს პლატფორმა UNIJOBS - ის ბაზა, ბაზაში რეგისტრირებულ კურსდამთავრებულებს ყოველდღიურ რეჟიმში მიეწოდებათ ინფორმაცია აქტიური ვაკანსიების შესახებ.

ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები გამოკითხვებში, ისინი აფასებენ, როგორც ლექტორებს, ასევე სასწავლო კურსებს და დამატებით სერვისებს, რომელსაც სთავაზობს უნივერსიტეტი. წელს უნივერსიტეტის ხარისხის ცენტრმა ჩაატარა საკმაოდ მოცულობითი კვლევა პროგრამით კმაყოფილების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის - სამაგისტრო საფეხურზე.

ლექტორებთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა ჰქონდა სტუდენტთა 80%-ს, 13%-ს კი მეტ-ნაკლებად. გასაუბრებაზე მყოფმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ მათი უმეტესობა მუშაობს, მათ აქვთ საშუალება დამატებით

კონსულტაციები გაიარონ ლექტორთან. ლექტორები, რომლებსაც ექსპერტები შევხდით, საკმაოდ მოტივირებულები იყვნენ, რომ სტუდენტებისათვის გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება, ისინი სწავლის დასრულების შემდგომაც ინარჩუნებენ სტუდენტებთან ურთიერთობას, თუ რაიმე სიახლეა დარგში, ან ახალი პროექტი უზიარებენ კურსდამთავრებულებს. უნივერსიტეტი ახორციელებს საკმაოდ საინტერესო პროექტებს, პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში, წარმოდგენილია პროექტების ჩამონათვალი, სადაც აღნიშნული პროგრამის სტუდენტებიც იყვნენ ჩართულნი. ექსპერტები დავინტერესდით, თუ როგორ ადაპტირდა ონლაინ სწავლებაზე უნივერსიტეტი. როგორც სტუდენტებმა გვითხრეს მათთვის ონლაინ სწავლება საკმაოდ მოსახერხებელია. უნივერსიტეტმა ჩაატარა კვლევა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება დისტანციური სწავლების პერიოდში - სტუდენტების გამოკითხვა. იმ მაშტაბებიდან გამომდინარე რაც უნივერსიტეტს აქვს დისტანციური სწავლება საკმაოდ კარგად მიმდინარეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში • პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები სამაგისტრო პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი • საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება დისტანციური სწავლების პერიოდში - სტუდენტების გამოკითხვა • პროგრამით კმაყოფილების კვლევა, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - სამაგისტრო საფეხური • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/ • ინტერვიუები: აკადემიურ და მოწვეულ პერსონალათან, სტუდენტებთან, ადმინისტრაციასთან • სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება თავი I. ზოგადი დებულებანი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტი ირჩევს ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელს. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ნაშრომის შესაბამისი ცოდნისა და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების კვალიფიციური აკადემიური ან მოწვეული პერსონალის შეთავაზებას.

თემის ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის თანამშრომლობა საკმაოდ დატვირთულია, მათი თემის ირგვლივ, კვლევითი კომპონენტის განვითარებასთან დაკავშირებით შეხვედრები არის ინტენსიური. გამომდინარე თუ რა ეტაპზეა თემა. თუ საჭიროა, რომ სტუდენტმა უფრო ხშირი კონსულტაციები გაიაროს თემის ხელმძღვანელთან ამის საშუალება მათ ყოველთვის აქვთ, ეს დაადასტურეს, როგორც სტუდენტებმა ასევე პროფესორებმა. უნივერსიტეტმა ჩაატარა კვლევა, სადაც შეფასდა სტუდენტის დამოკიდებულება თემის ხელმძღვანელისა და სტუდენტის თანამშრომლობის. 71% აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელის მხრიდან მიღებული უკუკავშირი ეხმარებოდა მათ ნაშრომზე მუშაობისას, 14%-მა აღნიშნა, რომ მეტ-ნაკლებად ეხმარებოდა, ხოლო 7%-ის თქმით, არ ეხმარებოდა.

თემის ხელმძღვანელის ფუნქციები გაწერილია დოკუმენტში: პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ინტენსიურად იყენებენ საუნივერსიტეტო ბაზებს, რაც ეხმარებათ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას.

ყველა სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე Turnitin -ის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები სამაგისტრო პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- პროგრამით კმაყოფილების კვლევა, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - სამაგისტრო საფეხური

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი • სამაგისტრო პროგრამა:პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია • ინერვიუები პროფესორებთან, სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: V☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 32 პერსონალი, მათ შორის 20 აფილირებული აკადემიური პერსონალი (12 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი) და 12 მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 უცხოელი პერსონალი (5 სწავლის და 5 კვლევის მიმართულებით). პროგრამაში ჩართული საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის შესწავლამ და ინტერიურიების პროცესმა აჩვენა რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან ასევე პრაქტიკოსები დარგის შესაბამისი გამოცდილებით (დიპლომატიური საქმიანობა, სამთავრობო სტრუქტურებში საქმიანობის გამოცდილება, არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებში საქმიანობის გამოცდილება). აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავალამ აჩვენა რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო აქტივობებსა და სამეცნიერო მუშაობაში. პროგრამას ჰყავს 1 ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და აქტიურად არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • პერსონალის პირადი საქმეები • საგანმანათლებლო პროგრამა • პროგრამის ფუნციების დოკუმენტი • აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელების და სამუშო ჯგუფების საქმიანობის წესი • სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია • აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა • აკადემიურ თანადებობაზე არჩევის წესის დოკუმენტი • მოწვეული პერსონალის არცევის წესის დოკუმენტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): 0
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე უსდ ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. უსდ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას აფასებს შემუშავაბეული წესის მიხედვით. .პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება ფორმალური გზით, განსაზღვრული პერიოდულობით, წინასწარ შერჩეული ინსტრუმენტით. შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ (აკადემიური წლის ბოლოს . შეფასების პროცესის ადმინისტრირებას და მიღებული შედეგების ანალიზს, უზრუნველყოფს ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაცია (დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლის მონაწილეობით), როგორც სასწავლო ისე კვლევით და სოციალური იმპაქტის სფეროში. შეფასების შედეგებს, ანგარიშის სახით ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაცია აწვდის რექტორს, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში ყველა უფლებამოსილ პირს ან კოლეგიურ ორგანოს. შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებული იქნება უნიფიცირებული თვითშეფასები კითხვარები, რომლებიც შემუშავდება ამ წესით განსაზღვრული საქმიანობის შესაფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით და შეფასების ინსტრუმენტი ადმინისტრირებული იქნება „არგუსის“ გამოყენებით. ამასთან სასწავლო კომპონენტის შეფასება (ჩატარებული საათების რაოდენობა) მოხდება პროფესორების დატვირთვის სქემის შესაბამისად. შეფასების წესში ქულობრივად არის გამოსახული პერსონალის სხვადასხვა აქტივობები. უსდ-ში ასევე მოქმედებს ლექციებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა (კოლეგიალური შეფასება) და ა.შ. წესი ითვალისწინებს ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას, ხოლო მოწვეული პერსონალის შეთხვევაში - სწავლების პროცესში მონაწილეობის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.

უსდ ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე უსდ ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ბოლო ორი წლის მანძილზე უსდ-მ უზრუნველყო რამედნიმე ტრენინგის ჩატარება. კერძოდ: დაწესებულებამ სწავლებაში ჩართული პერსონალის შეფასების და მათი კმაყოფილების კვლევის შედეგების საფუძველზე 2019-2021 წწ. განხორციელდა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი შემდეგი ტრენინგები;

- შერეული სწავლება და სწავლა სტუდენტების სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად
- ელექტრონული სწავლების პორტალის - Moodle გამოყენება (კურსის ორგანიზება,

ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება, საგამოცდო ტესტების მომზადება)

● უკუკავშირის მიწოდების ფორმები და საშუალებები: Moodle-ში რუბრიკების გამოყენება;

● აქტიური სწავლება შებრუნებულ საკლასო ოთახში

● ონლაინ-შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები

● შებრუნებული საკლასო ოთახი - ელექტრონული სწავლების ეფექტიანობის ზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

● აქტიური სწავლა და სწავლება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით: სწავლა მობილურით და გემიფიკაცია

● აქტიური სწავლება და თანამედროვე ტექნოლოგიები

● ელექტრონული სწავლების პორტალის გამოყენება, კურსების მომზადება, დავალებების ფორმატი, შეფასების განხორციელება, პლაგიატზე შემოწმება, ტესტის მომზადება (როგორც შუალედური ასევე, საბოლოო გამოცდისთვის), ზუმის გამოყენება ტრენინგი აკადემიური წერის ცენტრის მასწავლებლებისთვის

● ვიდეო-ინსტრუქციები და ვებინარები, ტრენინგები სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესახებ.

● შებრუნებული კლასის მეთოდოლოგია

● შეფასების მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახლებური

სასწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად

❖ კონცეპტუალური რუკები

❖ სოციო-ემოციური უნარები

❖ კრიტიკული მეგობარი

❖ ურთიერთშეფასება/რეფლექსიური დღიური

❖ ღია ციფრული სამკერდე ნიშნები

● PR for Academics;

● Supervising PhD Students;

● Workshop Grounded Theory;

● Turnitin Feedback Studio;

● სამეცნიერო ელექტრონული ბაზები;

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით შექმნილია აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი. ის წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შეიქმნა ერასმუს + პროექტის - „ცვლილება საკლასო ოთახში ინოვაციური სწავლებისა და სწავლის წახალისება სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (PRINTeL) ფარგლებში. აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მიზანს წარმოადგენს აკადემიური პერსონალის და მასწავლებელთა პროფესიული შესაძლებლობების განვითარება და სწავლა/სწავლების ინოვაციური ხერხების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მიზნების შესაბამისად.

უსდ ხელს უწყობს პერსონალს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით,

ასევე უსდ ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. პროგრამის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის. პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა ფასდება ყოველი აკადემიური წლის ბოლოს მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების (სტატია, თეზისი, ჟურნალი, წიგნები და ა.შ.) სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები და ა.შ.), სემინარებსა და პროექტებში მონაწილების, ასევე უნივერსიტეტში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების მიხედვით.

უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო და განვითარების სამსახური.

პერსონალს ხელშეკრულებით ეკისრება სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ვალდებულება და პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა ყოველწლიურად ფასდება. სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა არის მნიშვნელოვანი კომპონენტი აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პროცესში. მოწვეულ პერსონალს ასევე შეუძლია გამოიყენოს უსდ ფინანსები სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობისთვის. აკადმიური და მოწვეული პერსონალის მასტიმულირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საუნივერსიტეტო კვლევითი სტრატეგიისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის საფუძველზე წარმატებული კვლევებისთვის ყოველწლიური შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების/ თანადაფინანსების სისტემის არსებობა. უნივერსიტეტის მკვლევრებისა და პროფესორების მიერ გამოქვეყნებული მაღალი სანდოობის სამეცნიერო პუბლიკაციების ზრდა და სამეცნიერო კვლევებში სტუდენტთა ინტენსიური ჩართულობა ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს აქვს წარმატებული კვლევების ინსტიტუციონალიზაციის დიდი პოტენციალი. საგრანტო პროგრამაში გამარჯვებული პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები უნდა აისახოს მაღალი სამეცნიერო სანდოობის მქონე საერთაშორისო პუბლიკაციებში; ამასთანავე, უნდა გახდეს უფრო დიდ საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის წინაპირობა (საგრანტო განაცხადის მოსამზადებლად ჩატარებული წინასწარი კვლევა). შესაბამისად, უსდ სამეცნიერო/კვლევითი პოლიტიკის ეფექტურობას ადასტურებს პერსონალის პუბლიკაციების სიმრავლე ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და პერსონალის ჩართულობა ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას, რაც რეგულირდება აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციაში დაფინანსების წესით.უნივერსიტეტში კვლევითი პოტენციალის გაზრდას ასევე ემსახურება ახალგაზრდა მკვლევრებისთვის დაწესებული ჯილდო - პასკალის პრემია, დარგში გაკეთებული განსაკუთრებული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის. უსდ ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სამეცნიერო პროექტებისა და აქტივობების, კვლევითი ცენტრების შესახებ და განთავსებულია სამეცნიერო პროდუქტი (ჟურნალები, წიგნები, შრომები). სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის და კვლევითი ცენტრების განვითარება გათვალისწინებულია ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

- პროგრამის ბიუჯეტი
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი).
- სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ყოველწლიური ანგარიშის ფორმა
- აკადემიური პერსონალის ყოველწლიური შეფასების ფორმა
- უსდ ვებგვერდი
- პროფესიული განვითარების აქტივობების დოკუმენტი
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება, კვლევის ანაგარიში, 2018-2019 წელი
- ლექციების კოლეგიალური შეფასების და განვიტარების კონცეფცია
- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის დოკუმენტი
- ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამა
- აკადემიური პერსონალის შეფასების წესის დოკუმენტი
- მოწვეული პერსონალის შეფასების წესის დოკუმენტი
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ https://argus.ge/ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ პროგრამის სტუდენტებსა და პერსონალს უზრუნველყოფს ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით, სტუდენტური სივრცეებით და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

მათ შორის საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი, სალექციო აუდიტორიები, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკის ფონდი და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები), სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელით „არგუსი", Turnitin, Elearning. ასევე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტებითა და ცენტრებით (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი; სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი; სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის, მეხსიერების კვლევების კავკასიური ცენტრი; SOVLAB - საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია;, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით. თუმცა ვერც დოკუმენტაციის შესწავალმ და ვერც გსაუბრებამ ვერ დაადასტურა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ჩართულობა და ინტეგრაცია პროგრამში. სასურველია უფრო მეტად მოხდეს აღნიშნული კვლევითი ინსტიტუტის ინტეგრაცია პროგრამის განხორციელებაში მისი რესუსრის გამოყენება. უსდ ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზით და ფლობს აუცილებელ ყველა მატერიალურ და ციფრულ რესურსს. უსდ ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურიდან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ლიტერატურა ბიბლიოთეკაში იძებნება. ონლაინ სწავლების პირობებში, საბიბლიოთეკო მომსახურება გახდა პირობებზე მორგებული - სტუდენტებს აქვთ ლიტერატურაზე და სამეცნიერო ბაზებზე დისტანციურად წვდობის საშუალება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუდმივად ზრუნავს საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციებზე ხელმისაწვდომობის განვითარებაზე. შესაბამისად, ბიბლიოთეკა, ამ კუთხით მუდმივად სთავაზობს მომხმარებელს სიახლეებს და ფლობს მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას. ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ცალკეული პერიოდული ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები, რომლებიც შემდეგ აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული: Scopus; Ulrich's Index; ERIH PLUS; EBSCOHost; Latindex Catalogue და სხვა ბიბლიოთეკა სტუდენტებს პერსონალს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- ელექტრონული სწავლების პორტალი: https://elearning.iliauni.edu.ge/
- ხელშეკრულება Turnitin სერვისის ლიცენზიის გადაცემის შესახებ
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები https://library.iliauni.edu.ge
- ვებგვერდი - https://iliauni.edu.ge/ge/
- ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება სტუდენტების მოსალოდნელ რაოდენობასთან - ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურში;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების სანაგისტრო პროგრამას აქვს საკუთარი ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, მიღებული შემოსავლები ბევრად აჭარბებს დანახარჯს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გათვალისწინებულია თანამშრომელთა ხელფასებისთვის, სამეცნიერო და კვლევითი ხარჯებისთვის სახელმძღვანელოების შესაძენად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვ. პროგრამის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. გარდა პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსებისა, პროგრამისთვის აუცილებელი ზოგიერთი აქტივობის დაფინანსება შესაძლებელია ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების ინსტრუმენტები და პროცედურები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში. აღნიშნული რეგულაციების თანახმად საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი(ები), ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და კურიკულუმის ექსპერტი.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმები მოიცავს სწავლის შედეგების მიღწევადობის შესაფასებლად პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით მოგროვებული მონაცემების ანალიზს, მათ შორის: საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის ანალიზს და რევიზიას დარგში უახლესი ტენდენციების, საზოგადოებისა და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების გათვალისწინებით; სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს, პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების მონაცემების ანალიზს სხვადასხვა ჭრილში; სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის შეფასებას; სასწავლო გარემოს, რესურსებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების შესაბამისობის შეფასებას მოცემული პროგრამის მიზნებთან და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებისა და შეფასების მიზნით ხელმძღვანელობს PDCA ციკლით, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და განვითარებას. სააკრედიტაციო პაკეტის შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი ციკლის შესაბამისად, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად;
- ✓ შემუშავებულია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმები (პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, კურიკულუმის რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სამიზნე ნიშნულებით);
- ✓ განხორციელებულია საგანმანათლებლო პროგრამის მსგავს პროგრამებთან შედარება;
- ✓ ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილების შესახებ;
- ✓ ჩატარდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილებისა და დასაქმების შესახებ;
- ✓ განხორციელდა დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფი პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულების შესახებ.

მართალია უნივერსიტეტში არსებობს ხარისხი უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები და ხორციელდება შესაბამისი აქტივობებიც, მაგრამ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მისი ჩართულობა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში მინიმალური იყო. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად ჩაერთოს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის მოდიფიცირების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. ასევე, დასტურდება მათი აქტიური თანამშრომლობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესების დაგეგმვის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფის ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად ჩაერთოს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: V☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშით, შესაბამისი დანართებითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება განხორციელდა დამსაქმებლებისა და უცხოელი ექსპერტის მონაწილეობით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, გარე შეფასების მიზნით, სამაგისტრო პროგრამა (მიზნები, სწავლის შედეგები და კურიკულუმი) გადაეგზავნა დარგის ექსპერტს, არიზონას უნივერსიტეტის პროფესორს პოლიტიკის მეცნიერებისა და გლობალური ურთიერთობების მიმართულებით, დევიდ სიროკის, რომელმაც უზრუნველყო მისი გარე კოლეგიური შეფასება. აღსანიშნავია, რომ წამროდგენილი გარე შეფასების დოკუმენტი ნაკლებად ასახავს პროგრამის სიღრმისეულ ანალიზსა და ვფიქრობთ, არ იძლევა პროგრამის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. სასურველია, გარე შემფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით უმჯობესია გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილ იქნას პროგრამის მიზნების, შედეგების, სასწავლო გეგმის, სასავლო კურსების შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობის სიღრმისეულ და დეტალურ შეფასებას. დამატებით, პროგრამა გადაეგზავნა პოტენციურ დამსაქმებლებს, შემდგომ კი მოხდა პროგრამის განხილვა დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფის გამოყენებით. დამსაქმებელთა რეკომენდაციები, რომელიც ძირითადად ეხებოდა პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული, წერითი და ანალიტიკური უნარების გამომუშავებას პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსში, შეფასების ფორმებსა და მეთოდებში ასახულია. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოყენებულ იქნა კურსდამთავრებულთა უკუკავშირი (კურსდამთავრებულთა კვლევა). ასევე,

პროგრამის განახლების პროცესში გათვალისწინებული იყო 2011 წელს პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • უცხოელი პროფესორის გარე შეფასება; • დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანგარიშები; • აკრედიტაციის ექსპერტების 2011 დასკვნა/ოქმი N5; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის დოკუმენტში გაწერილი პროცედურებისა და მექანიზმების შესაბამისად, რაც თავის მხრივ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და მართვის პოლიტიკის ნაწილია. ხსენებული დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც

ეფუძნება გამჭვირვალობის და გაზიარებულობის, ანგარიშვალდებულების, უწყვეტობის, აკადემიური კეთილსინდისიერების და თავისუფლების პრინციპებს, ხორციელდება შიდა და გარე აქტორების ჩართულობით, უნივერსიტეტის მისიის, ხედვების, სტრატეგიული თუ სამოქმედო გეგმებისა და ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო-რეგულაციებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია სისტემური და საჭიროებაზე მორგებული კვლევებისა და გამოკითხვების განხორციელების სისტემა. არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი"-ს მეშვეობით ყოველსემესტრულად მიმდინარეობს პროგრამის სასწავლო თუ კვლევითი პროცესის, მატერიალური, საბიბლიოთეკო თუ ადამიანური რესურსების შეფასება სტუდენტთა მიერ. გარკვეული პერიოდულობით ტარდება სატელეფონო გამოკითხვები და ფოკუს-ჯგუფები აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით. საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების განხორციელების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა რიგი აქტივობები, მათ შორის:

- ✓ 2021 წლის მაისი-ივნისის პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევების განყოფილების მიერ არგუსის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განხორციელდა საბაკალავრო და სამაგისტრო სტუდენტთა გამოკითხვა დისტანციური სწავლების ფორმატში საუნივერსიტეტო სერვისებით კმაყოფილების შესახებ. აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო პოლიტიკის მეცნიერების (საერთაშორისო ურთიერთობების) სტუდენტებმაც;
- ✓ 2021 წლის გაზაფხულის სემესტრში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევების განყოფილების მიერ განხორციელდა მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის პროგრამებით კმაყოფილების კვლევა. გამოკითხულ იქნა პოლიტიკის მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების სტუდენტებიც ისეთ საკითხებთან მიმართებით როგორიცაა სამაგისტრო ნაშრომების განხორციელება და ხელმძღვანელობა, სასწავლო კურსების შინაარსის ადეკვატურობა და შესაბამისობა პროფესიულ ინტერესებთან, შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით კმაყოფილება, სასწავლო პროცესის ადმინისტრირება და სხვ.;
- ✓ წარმოდგენილი პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით 2020 წელს ჩატარდა კურსდამთავფებულთა კვლევა. კვევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულების კმაყოფილლება და სამუშაო გამოცდილება;

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, მისი განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების შედარების პრაქტიკა წარმატებულ ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

უნივერსიტეტში დანერგილია კოლეგიალური შეფასების პრაქტიკა, რაც მოიაზრებს დასწრების გზით ლექცია-სემინარებისა და მათი განმახორციელებლების პერიოდულ მონიტორინგს სასწავლო პროცესის შემფასებელი ჯგუფისა და პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობთ. ლექცია-სემინარებზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციისა და

მოცემულობის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები დაწესებულებას ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვაში და ა.შ. აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა კოლეგიალური შეფასები კონცეფცია, პროტოკოლი და შესაბამისი შეფასების ფორმები. საგულისხმოა, რომ სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტში არსებობს ე.წ. საჩვენებელი ლექციის ჩატარების პრაქტიკა. აღნიშნული გულისხმობს აკადემიური მიმართულებით იმ კანდიდატთა პედაგოგიური უნარების შეფასებას, რომლებსაც არ აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გამოცდილება და რომელთაც დაწესებულება პირველად სთავაზობს კონკრეტული საგანანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების მომზადებასა ან/და განხორციელებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის და მისი გამოყენების ანგარიშის დოკუმენტს, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა მხოლოდ პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკა. აღნიშნული სტატისტიკა სამწუხაროდ ექსპერტთა ჯგუფს არ აძლევს შესაძლებლობას დაინახოს ამ სტატისტიკის ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები და მათი გამოყენებით პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (არსებობის შემთხვევაში). რეკომენდებულია, დაწესებულებამ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი გამოიყენოს პროგრამის მონიტორინგის მექანიზმად, რადგან ის წარმოადგენს პროგრამის შეფასების მიმართულებით ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემს პროგრამის გუნდს უკეთ დაინახონ პროგრამის ცალკეულ კომპონენტში განსახორციელებლი ცვლილებები და გასაუმჯობესებელი მხარეები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევები; • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; • საჩვენებელ და სემესტრულ ლექციებზე დაკვირვების კონცეფცია; • ლექციის დაკვირვების პროტოკოლი; • ლექციაზე/სემინარზე დაკვირვების შემდგომი შეხვედრის პროტოკოლი; • საჩვენებელი და სემესტრული ლექციების კოლეგიური შეფასება და განვითარება; • პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, დაწესებულებამ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი გამოიყენოს პროგრამის მონიტორინგის მექანიზმად, რადგან ის წარმოადგენს პროგრამის

შეფასების მიმართულებით ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემს პროგრამის გუნდს უკეთ დაინახონ პროგრამის ცალკეულ კომპონენტში განსახორციელებლი ცვლილებები და გასაუმჯობესებელი მხარეები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: სასურველია, გარე შემფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით უმჯობესია გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილ იქნას პროგრამის მიზნების, შედეგების, სასწავლო გეგმის, სასავლო კურსების შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობის სიღრმისეულ და დეტალურ შეფასებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არს შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		V		
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ფიქრია ასანიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის:

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამარ თავხელიძე